

რა არის Bitcoin-ი?

ტრადიციული ვალუტებისგან განსხვავებით როგორებიცაა: ლარი, ევრო, დოლარი თუ სხვა ბიტკოინი არის ციფრული ვალუტა, ელექტონული გადახდის საშუალება, რომლის განაღდება შეუძლებელია, ვინაიდან ის აწყობილია P2P პრინციპზე, რაც კომპიუტერულ სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლას გულისხმობს. ბიტკოინის შექმნის შემდეგ კი მისი სისტემის გატეხვა ვერც ერთმა ჰაკერმა ვერ შეძლო.



როგორ დააგროვოთ ბიტკოინები?

მისი დაგროვებისთვის რამოდენიმე მეთოდი არსებობს როგორებიცაა, მაინინგი პროცესორით, ვიდეო კარტით, ვაჭრობა ბირჟაზე და ა.შ. ყოველი ტრანზაქცია ურთულესი კოდით შედგება, რომელიც შეიცავს ასოებსა და ციფრებს. თითოეული ბიტკოინის მიღმა 31,000 ხაზიანი კომპიუტერული კოდია.

საკუთარი აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით შესაძლებელია მსურველი ჩაერთოს კომპლექსური მათემატიკის გაანგარიშების ამოხსნაში,

რომელიც ტრანზაქციას ვერიფიკაციას უკეთებს, ხოლო წარმატებით გაანგარიშების შემთხვევაში ისინი თავის წილ ბიტკოინს მიიღებენ.

პირველი ბიტკოინ ტრანზაქცია 2010 წელს განხორციელდა პიცერიაში, პიცის მიტანისთვის 10,000 ბიტკოინი გადაიხადეს რაც იმდროისთვის 30 დოლარს უდრიდა, დღეს ძირითადათ საშუალოდ ბიტკოინის ფასი 4700-5400 დოლარამდე მერყეობს.